№ 117 15 ღვინობისთვე, ოთხშაბათი 1866—1875 15 ღვინობისთვე, ოთხშაბათი № 117

რედაქცია
მელიქმინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგუშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და ხტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი
წელიწადში 8— მან., და ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

## საქართველო

### რა შემოსდის გლეხს მამულიდამ?*)

V

ჩვენ განვიხილეთ გლეხის სიღარიბე; ახლა განვიხილოთ მიზეზი იმის სიღარიბისა.

არიან ჩვენში იმისთანა ვაქზატონები, რომლებიც არ იკვლევენ ხეირიანად საქმეს და გლეხკაცობის სიღარიბეს აწერენ იმათ სიზარმაცეს.

მაგრამ ეს იმათი ცილისწამება არაფერს არა ჰგავს. მაშ ვინ შრომობს თუ არა გლეხკაცი? პირ იქით, ჩვენ კიდევ უნდა გვიკვირდეს, რომ ცუდი სმა და ჭამის მქონი გლეხი ამდენს მუშაობს. დამტკიცებულია, რომ მუშა კაცს კარგი სმა და ჭამა უნდა ჰქონდეს, რომ მოიკრიბოს ძალა და მისცეს ორგანიზმს (სხეულს) ის, რაც იმან დახარჯა შრომის დროს. უამისოდ ის დროს განმავალობით დაუძლურდება და თავის უნებურად უნდა იზარმაცოს. მაგრამ საწყალი გლეხი არ აძლევს თავის თავს სიზარმაცის ნებას; საჭიროება იძულებულ ჰყოფს მას იმუშაოს ქანც გაწყვეტამდის.

თუ არ დავიშლით, სიზარმაცე კი არ არის მიზეზი გლეხი-კაცის სიღარიბისა, არამედ არის იმისი გაუნათლებლობა. ჩვენი გლეხი ჭკუით არა მუშაობს; იმის მეურნეობა უფრო მტაცებლობითი მეურნეობაა (хищническое хозяйство), რისაგამოც მიწა თან-და-თან უძლურდება და უღონოვდება და აღარ მოჰყავს კარგი მოსავალი.

თუ ამ ნაირად მამულის შემუშავება კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მოვა იმისთანა დროც, როდესაც მამული თავნსაც აღარ მოიცემა, თორემ სარგებელს ვილა ინაღვლის. და არ შეიძლება რომ ასე არ მოხდეს, ამისათვის რომ გლეხ-კაცი სთესავს პურს და იმას აღარა ფიქრობს, რომ მცენარე თავის საზრდოს იღებს მიწიდამ და თუ მცენარისაგან შეთვისებული ნაწილები ისევ არ დაუბრუნდა მიწას, ის მეორედ და მესამედ ისეთ მოსავალს აღარ მოიცემა, როგორსაც პირველად.

მაგრამ ან რითი გააპატიონ მამულები, რომ პატივი არა აქვთ, თორემ გაქვთ ღვთის წყალობა, რომ გლეხებმა პატივის ფასი იციან. არა აქვთ პატივი იმისთვის, რომ არა ჰყავთ საქონელი; არა ჰყავთ საქონელი კიდევ იმისთვის, რომ არა აქვთ საძოვრები; და რაც საქონელი კი ჰყავს გლეხს, საძოვრების უქონლობის გამო, ისეთი მჭლე და გამხდარია, რომ ისინი კარგ პატივს არასდროს არ მოიცემიან.

VI

მაგრამ გლეხი რაც უნდა გაუნათლებელი იყოს, რაც უნდა გონივრულად არ იცოდეს მიწის შემუშავება, ის მაინც იმდენს მოსავალს მოიყვანს, რომ თვითონ გაუჭირვებლივ იცხოვრებს. მაგრამ ეხლა გაჭირვებულია იმისთვის, რომ იმას თავის შრომა მარტო თვითონ არ ეკუთვნის. ამის შრომით იმდენნი მუქთად მჭამლები და მცარცველები სცხოვრობენ, რომ სახელი მათი ლეგიონი არის.

როცა გლეხკაცს უჭირდება ფული, ის იძულებული ხდება მიიქცეს ერთი თავის მცარცველისადმი და ესესხოს ფულს; და ეს უკანასკნელიც სარგებლობს გლეხის გაჭირვებული მდგომარეობით და ყიდულობს იმისგან მომავალი წლის მოსავალს, რომლის ფასი არც კი იციან რა იქნება.

მაგ. ვაჭარი აძლევს გლეხს სესხად ხუთ მანეთს და ამაში ოთხი კოდი პურის ვექსილს უწერს; მოხდება, რომ მეორე წელიწადს ისეთი ცუდი მოსავალი მოვა, რომ კოდი პური სამ მანეთად ეღირება და გლეხკაცს კი არ მოუვა მოსავალი, რომ გადიხადოს ვალი. ამითი სარგებლობს ვაჭარი, კოდს სამ მანეთად უანგარიშებს და დაუწერს თამასუქს.

აი ამისთანა შემთხვევებიდამ მოხდება ხოლმე, რომ ხუთი მანეთი ათი წლის განმავალობაში ორმოც და სამოც თუმნად იქცევა ხოლმე.

აი ვინ არიან მიზეზნი გლეხკაცის სიღარიბისა და ზოგიერთები კი მალე გაიძახიან: ამა და ამ ალაგას რომ გლეხები არ დამთვრალიყვნენ და დალეული ღვინო გაეყიდათ, მაშინ ისინი ან ვისიმე ვალს მოიშორებდნენ და ან ბანკებს გაიმართავდნენო. არა, ბარემ ასე სთქვათ: გლეხები რომ პურს არა სჭამდნენ და ღვინოს არა სვამდნენ და მთლად თავის ღვინო—პურის მოსავალს ჰყიდნენ, მაშინ აღარც ვალები ემართებათ და ბანკებსაც დაიმართავდნენ! ბატონებო, ესენი ათასში ერთხელ ითრობიან, მაგრამ ამათი მცარცველები რომ ყოველ დღე კარგსაცა სვამენ და სჭამენ და უფრო ბევრჯელაც ითრობიან, რატომ ღარიბები არ არიან? ბან:, მკითხველო, აქ სხვა რაღაც უნდა იყოს მიზეზი გლეხის სიღარიბისა? აბა გამოიცან...

ამისთანა სამწუხარო და სატირალი მდგომარეობისაგამო, გლეხები იმის მაგიერად, რომ დროს განმავალობით შეიქმნენ სასარგებლო წევრნი სახელმწიფოსი, ისინი უფრო და უფრო იმის ტვირთნი ხდებიან; ნაცვლად იმისა, რომ შეადგენდნენ იმის ძალას, ისინი ხდებიან მიზეზნი იმის სისუსტისა.

VII

ეს ყველა ასე, მაგრამ რითი შეიძლება იმათი ამ მდგომარეობიდამ გამოყვანა? ზოგიერთები ბანკებიდამ და სასოფლო მალაზიებიდამ მოელიან დიდ შველას; მაგრამ ეს ტყუილი

*) „დროება" №№ 113 და 114.

## მწიგნობრობა

### „სურამის ციხე"

მოთხრობა დან. ჭონქაძისა, გამოცემული ექ. ხელაძისა და ი. ბაქრაძისაგან.

I

ჩვენ ყოველთვის მზათა ვართ თაყვანი ვცეთ ძველ გენიოსებს, ძველ უშიშარ მთქმელებს ჭეშმარიტებისა, ალტაცებულ და პატიოსან მქადაგებლებს. ხან და ხან გვიყვარს კიდეც იმათ სახელის პატივისცემით წარმოთქმა იქ, სადაც ეს სრულებით საჭირო არ არის. მაგრამ, როცა ჩვენ წყნარ ცხოვრებაში გამოითქმება სასტიკი, მაგრამ მართალი სიტყვა, როცა ჩვენ წუნების გაჩხრეკას დაიწყობს რომელიმე პატიოსანი კაცი, რომ ამით მოარიდოს ახალგაზდები, თვალები აუხილოს ბრმებს, ჩვენ საშინელ კიჟინას შევქნით ხოლმე.

წარმოიდგინეთ თქვენ წინ კაცი, რომელიც აძაგებს ჩვენ უხეირობას, უმეცრებას, ორგულობას და სხვა ამისთანა წუნებს. რას იტყოდა ამ კაცზე უპატიოსნესი მკითხველი? არამც თუ უპატიოსნესი მკითხველი, არამედ სუყველა, ვისაც კი თვალები აბია, რომ ნახოს და ყურები, რომ გაიგოს? იტყოდა, რომ ეს კაცი მართალს ამბობს, ჩვენში სულ უგზოუკვლოთ მიდისო; მაგრამ მაინც ის ჩაჰქოლავდა ამ გვარ მართლის მთქმელ კაცსა. უველა ჰეინეზედ, თუ რომ ის დაბადებულიყო ჩვენში, იტყოდა: „ეს დალოცვილი ჩვენ რას აგვტეხია, თითონ რაღაა?! ეს დალოცვილი მითომ რას ჩაგვციებია: პატიოსნათ და პატიოსნათ მოიქეცითო, ასე ჰგონია ეხლა შესაძლებელია პატიოსნათ მოიქცეს კაცი!"

მაგრამ ჩვენ თანახმათ არა ვართ მკითხველთან. მართალი სიტყვა, ვინც უნდა სთქვას, მართალი სიტყვა, რომლისაც უნდა გამოითქვას, სუყოველთვის წმინდანია.

მართალი სიტყვა თქმული უსამართლოსაგანაც კი უნდა გვახარებდეს, რომ უსამართლოებსაც ვერ გაუბედავთ ტყუილი სთქვან და სხვას მართალს ასწავლიან. თუ ჩვენ წინ ლოთი დაიწყობს ქადაგებას იმაზედ, თუ რა კარგია ფხიზლობა და მშვიდი, პატიოსანი სიცოცხლე, ამან ჩვენ არ უნდა გაგვაბრაზოს, თუ ჩვენ შურები არა ვართ და არ გვინდა სხვისთვის ავი. ჩვენ უნდა გვახარებდეს, რომ ლოთიც კი ინატრის თავისთვისაც და სხვისთვისაც ფხიზლობას. ამ გვარმა ქადაგებამ უნდა გაგვახაროს, რადგანაც სნეული ჰგრძნობს თავის სნეულებას და ყველას აფრთხილებს.

II

შენ, მკითხველო, არ მოგწონს ხოლმე პატიოსანი სიტყვის თქმა; ამბობ: „რას ქადაგობენ პატიოსნობაზე, როცა ეხლა ჩვენში პატიოსნობა შეუძლებელიაო," და ქვას ესვრი დაუფიქრებლათ იმას, ვინც ალტაცებით დასცინის ჩვენ უსვინიდისობას და უსაზღვრო თავმოყვარეობას. შენ ბრაზდები, როცა მართლის მოყვარე კაცი შენ წინ აძაგებს იმას, ვისაც ერთი ბეწვა სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის და მასთანავე საშინელ ტუტუცობას ჩაიდენს ხოლმე. „შენ ნუ ყვირი ამ კაცის ტუტუცობაზეო, ეუბნები შენ პატიოსან მქადაგებელს, თორემ ის იმ სარგებელსაც არ მოიტანსო, რომელიც ეხლა მოაქვსო. ხელს ნუ ახლებ ამ ჭიანჭველებს, ამბობ შენ; ამათ არ შეუძლიანთ იმაზე მეტი გააკეთონ, რასაც აკეთებენო."

მაგრამ აქაც ვერ დაგეთანხმები: თუ პატიოსანი ვინმე კაცი შენს უსვინიდისობაზე, ორგულობაზე, თვალთმაქცობაზე ან ტუტუცობაზე დაიწყობს ლაპარაკს, ნუ გგონია, რომ ის შენ ამაში გაბრალებს, ნუ გგონია, რომ ის ამით შენ გეუბნება: „წყეულიმც იყავ, რომ პატიოსანი არ გამოხველ და ირჩიე ზარმაცობა და უსაზღვრო თავმოყვარეობა და არა განუწყვეტელი შრომის სიყვარული და კაცთმოყვარეობა." არა, პატიოსანი კაცი იწყობს თავის ქადაგებას მხოლოდ ახალგაზდობისთვის, რომელიც ემზადება მოქმედებას და დაჰფიქრებია იმას, რა გზა ამოირჩიოს, რომელი გზა სამართლიანია და რომელი საზიზღარიაო. უოველ პატიოსან მქადაგებელს აქვს ერთი განზრახვა: იმას უნდა მხოლოდ იმათი ხასიათის გაკეთილშობილება, ვისაც

იმედია. ამ დაწესებაებმა დროებით იქნება ცოტა რამ სარგებლობა მოუტანოს, მაგრამ სამუდამოთ და ძირიანათ ცხოვრების გაუმჯობესობა კი არ შეუძლიანთ.

შკოლებსაც შეუძლიანთ დაეხმარონ ხალხს ამ მდგომარეობიდამ გამოყვანაში; მაგრამ როდის? სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გაძრესო. სანამ შკოლები აღზრდიან იმისთანა ახალ თაობას, რომელიც გაიგებს თავის სიღარიბის მიზეზებს და დაიწყებს იმათ თავიდამ აცილებას, მანამდის ხალხს თავისი დაემართება: იგი გადაგვარდება ზნეობით, გონებით და ფიზიკურად. ეხლა ხალხი კიდევ ისე არ არის დაცემული, რომ მათზედ მოქმედება არ შეიძლებოდეს; მაგრამ ათი-თხუთმეტის წლის შემდეგ კი აღარ შეიძლება, რადგან ზნეობით და გონებით უკანასკნელ წერტილამდის იქნება დაცემული.

ამისათვის ყველა პატიოსანი და ნამდვილად ხალხის მოყვარული კაცი ეხლავე უნდა ცდილობდეს ჩააგონოს ხალხს, რომ დროით აიცილოს მან თავის სიღარიბის და სილატაკის მიზეზები.

მაგრამ კიდევ გაგიმეორებ მკითხველო, რომ ბანკებისა, მაღაზიებისა და შკოლების გამართვით ამ სიღარიბის მიზეზების თავიდამ აცილება დროით არ შეიძლება. მაშ რითი შეიძლებაო, მკითხავ შენ? მე გეტყოდი ამას, მაგრამ პედაგოგები ამბობენ, რომ ის ჰაზრი და ჭეშმარიტება უფრო ძრიელ უჯდება კაცს ძვალ-რბილში და ცდილობს იმის აღსრულებასაო, რომელსაც თვითონ თავის თავად გაიგებსო; მე სრულიად ვეთანხმები ამაში პედაგოგებს. მაშ აბა გაიგე,—რა უფრო მალე გამოიყვანს ხალხს სიღარიბიდამ?..

ი. ბაქრაძე

## დღიური

—

☐ ბათუმიდამ გვწერენ, რომ 28 ენკენისთვის შემდეგ, აქ შესანიშნავი ბევრი არა მომხდარა რაო. მცხოვრებლების დაკმაყოფილება მითომ იმით უნდოდათო, რომ ალი-ფაშა-თავდგირიძე ქობულეთს მოაშოროს და სამარადისოთ ბათუმს უნდა იცხოვროსო, და ამას გარდა ოსმან-ბეგი-თავდგირიძე ხოფას გადაიყვანესო. ამათი მოადგილეები ურჩევენ, რომ რედიფები გამოვიდნენ და მხოლოდ სამხედრო საქმის შესასწავლებლად წავიდნენ ბათუმს, სადაც 20 იმათი მოძმეები არიანო; საომრად აღარ გაგზავნიანო. მაგრამ ხალხი ჯერ კიდევ უარზე დგას და სანამ თვითონ არ დათანხმდებაო, მანამ ვერ გაიყვანებენ, რადგან ძალის დატანებას მმართებლობა ამ ჟამად ვერ ბედავსო.

☐ „ტფილისის მოამბეში“ გამოანგარიშებულია ტფილისის შემოსავალ-გასავალი, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ 1873 წელს ჩვენს დედა-ქალაქს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი ჰქონია—357,287 მანეთი და 43 კაპეიკი; 1874 წლის შემოსავლად დანიშნული იყო—388,794 მან. და 72 კაპ. და 1875 წელს ქალაქს უნდა შემოუვიდეს—403,761 მან. და 66 კაპეიკი.

გ ა ს ა ვ ა ლ ი ს ანგარიში შემდეგია: 1873 წელს დახარჯულა — 396,614 მან. და 89 1/2 კაპ., 1874 დანიშნული ყოფილა დასახარჯავად—377,873 მან. და 74 კაპ. და ამ 1875 წელს უნდა დაიხარჯოს—426,550 მან. და 60 1/4 კაპეიკი.

☐ ზერცხვენია ამის თქმა, მაგრამ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა.“ ჩვენ გვითხრეს,—მაგრამ ღმერთმა ინებოს, რომ ეს მართალი ამბავი არ იყოს—გვითხრეს, ვითომც ერთ იმერელ თავადიშვილს ორი ახალგაზდა ქალი ჩამოეყვანოს მოტყუებით ჩვენს ქალაქში და საროსკიპოში გაეყიდოს!

სახელსა და გვარს ამ კაცისას ჯერ არ ვაცხადებთ, რადგან ბეჯითად დარწმუნებული არა ვართ, რომ ამისთანა საძაგლობა ჩაედინოს ქართველ კაცს და მერე კიდევ ბრწყინვალე თავადიშვილს!..

☐ თელავიდამ გვწერენ, რომ, თუმცა წელს საზოგადოთ კახეთში მაინცა და-მაინც ძალიან ურიგო მოსავალი არ იყოვო, მაგრამ სიძვირე კი ამ ჟამად აქ დიდი არისო.

† გასულ შაბათს, ღვინობისთვის 11-ს, ტფილისის საავათმყოფოში გარდაიცვალა სჭლექისაგან ერთი ახალგაზდა ყმაწვილი ეპიფანე პალანდაძე. ვინც ამ ახალგაზდას იცნობდა, ვინც იცოდა იმის წრფელი გული, იმის ლტოლვილება, იმის პატიოსნური განზრახვა და იმის მეცადინეობა, რომ ჩვენს მძინარე საზოგადოებაში რამე გაეკეთებინა, რომ რამე სარგებლობა მოეტანა, ის ადვილად დაგვეთანხმება, როცა ვიტყვით, რომ იმის სიკვდილი ჩვენთვის დასაკლისია, დაგვეთანხმება მით უფრო, რომ ამისთანა კეთილ განზრახის და საზოგადო სარგებლობისათვის თავის კერძო პიროვნების შემწირველი ახალგაზდები ჩვენ ამ ჟამად ასობით არა გვყავს...

☐ რაჭიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ მთელს ჩვენს მაზრაში პურისა და სიმინდის მოსავალი ძალიან კარგი იყოვო, მაგრამ ღვინო კი წელს შარშანდელზე ნაკლები არისო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად აქ ძალიან გახშირებულია ხალხში მუცელა და ზაფრის ცხელებაო.

☐ გასული კვირის პარასკევს ტფილისში მყოფ პეტერბურღის უნივერსიტეტის სტუდენტებმა [illegible] გაუმართეს სადილი თავის ადრინდელ პროფესორსა და ხსენებული უნივერსიტეტის რექტორს უფ. კ. თ. კესსლერს. სადილზე იყოხუთმეტიოდ ყმაწვილკაცობა (მომეტებული ნაწილი ადვოკატობა), რომელთაც ღვინის სმის დროს სიამოვნებით მოიგონეს წარსული, უმანკო, და ბედნიერი სტუდენტობის დრო...

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

თელავი, 25 ენკენისთვეს

ერთი ღირს-შესანიშნავი პირი, სტუდ. ო—სი უ—სა ლ., ცხოვრებს ამ ჩვენ თელავის უეზდში; ეს პირი იქცევს თავის თავზედ ყველას ყურადღებას, როგორც თავის გარეგნობით, აგრეთვე შინაგანი მიმართულობით: ამისი სწავლა-მიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრებითა მიუახლოვდეს პირველთა ხალხთა, ე. ი. ეჯავრება ყოველივე ხელოვნური და ელტვის ბუნებას. ამასთანავე არა ხმარობს ღვინოს, არც სხვა სასმელებს და ხორცეულს; ხორცეულს, სხვათა შორის, იმიტომ არა ხმარობს, რომ ცოდვათ რაცხს პირუტყვების დაკვლას.

არა მგონია, ამან ჩვენ ხალხში, რომელსაც ასრე ძრიელ უყვარს ხორცი და ღვინო, მომხრეები იშოვნოს!

ეს ყმაწვილი კაცი თელავში მსახურებდა; მაგრამ, თავის შეხედულობის გამო, სამსახურს თავი დაანება და ალაზანს გაღმა მამულები აიღეს ამან და ამის მეორე ამხანაგმა, რომელიც ყველაფერში იმის მიმდევარია. ამათ დაიწყეს ბაღეულობის მოყვანა.

როდესაც კარგათ აბიბინდა ბაღეულობა, ერთხელ შეესიენენ, ბატო-

---

ჯერ სვინიდისი მთლად არ დაუკარგავს, იმათი თვალების ახილვა, რომლებიც ჯერ ცხოვრებას არ იცნობენ და რომლებსაც ჯერ არ შეუტოპავთ ჩვენებურ წუმპოებში.

ამნაირივე განზრახვა აქვს დამცინველ მწერალსაც, სატირიკოსს. თავის დაცინვით იმას უნდა შეარცხვინოს ისინი, ვინც სხვის ოფლის ღერით გამდიდრებულა, ვინც ორგულობით ამაღლებულა საზოგადოების გუნებაში. სატირიკოსს უნდა საზოგადოება ააღელვოს, აალაპარაკოს, ყველას ადევნინოს დიდ-გული და მძლავრი ბატონები, ხალხის მცარცველები და უსამართლოთ ამაღლებული ტეტიები...

მაშ ესე, მკითხველო, თუ უსვინიდისო კაცმა დაიწყო აღტაცებით ლაპარაკი სვინიდისზე, თუ ზარმაცი თავის სიმღერებში თაყვანს სცემს შრომას, თუ ლოთი გასწავლით ფხიზლობას ან ქურდი პატიოსნებას,—შენ იმათ დაუკარ ტაში! დაუკარ ტაში, რომ უფრო ხშირად გვესმოდეს იმათი გულწრფელი ქადაგება, იმათი მართალი, გრძნობით სავსე სიტყვა, იმათი კეთილშობლური აღტაცება, რომელიც გაამხნევებს უსამართლოთ ქვეყნით დაჩაგრულებს, უდროოთ უძლურებს, უდროოთ დალუპულებს.

ან თუ ნახავ კაცს ბევრის მომთხოვნელს და სასტიკ კრიტიკოსს და თუ ნახავ, რომ ის სჯის გულწრფელად, ნუ შეგეშინდება ამ სასტიკ სიტყვისა. სასტიკ სიტყვას ორგული კაცი ვერ იტყვის. სასტიკ სიტყვას, მართალს და თქმულს გრძნობით ეცი პატივი, რადგანაც ის არის ნიშანი იმის თქმელის შენადმი სიყვარულისა. სასტიკი, მაგრამ მართალი სიტყვა წამალია, და როგორც ყოველი წამალი, თავ-და-პირველათ, რასაკვირველია, უსიამოვნოა.

III

მაშ თუ საზოგადოება ესე ჰკიცხავს კაცს სასტიკ სიტყვისთვის, გინდ ის სიტყვა იყოს ჭეშმარიტება, თუ საზოგადოება არა სცემს პატივს თავის მცხარე მოყვარეებს, ძნელი ყოფილა აღტაცებული ქადაგება, ქადაგება, რომელშიაც გამოითქმებოდეს უკმაყოფილება ნამდვილ ცხოვრებით და სურვილი უმჯობეს ბედისა!

მართლათაც ისტორია გვიმტკიცებს, რომ პირ-და-პირ და გულწრფელათ მართლის მთქმელებს სდევნიდა და სტანჯავდა საზოგადოება, რომლისთვისაც ისინი არაფერს არ ზოგავდნენ. ხშირად, ძალიან ხშირად ხალხი ყურს არ ათხოვებს ან ქვასაც ესვრის იმას, ვისაც არ შეუძლიან იმის ფარისევლურად ქება; ხშირად, ძალიან ხშირად საჭიროა უსვინიდისო ფარისევლობა, რომ მოიპოვოს კაცმა საზოგადოების მხრით სიყვარული.

მ გრამ მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ხალხის ზნეობით მდგომარეობას უფრო კარგი ბედი ელის, რამდენიც იმას ბევრი იმისთანა სასტიკი მსჯელები ჰყავს, როგორნიც იყვნენ გერმანიაში ბერნე და ჰეინე, საფრანგეთში—ვოლტერი და რაბლე, ინგლისში—სვიფტი და დიკკენსი და რუსეთში—გოგოლი და დობროლიუბოვი; და თუ გადავავლებთ თვალს ჩვენ ღარიბ მწერლობას აქაც ვიპოვით ამათი ცოტათ მაინც მსგავსებს.

მაგრამ როცა ვიგონებ ჩვენ საფუძლიან მკიცხველებს, წარმომიდგება რაღაც უსაზღვრო სიბნელე, სადაც მოჩანან საშინლად მწუხარე, მქრალი სახეები; გულგრილად ვერ შეგიხედნია იმათთვის; შეხედავთ იმათ და აივსებით ნაღვლით და მერე რა ნაღვლით, რადგანაც ამ ჩაფლულ სიბნელეში, მიწის ფერ სახეებში იცნობთ... ჩვენ მწერლებს. ზოგი იმათგანი იცინის, ხუმრობს კიდეც, მაგრამ ამ გვარმა ხუმრობაებმა იქნება გაგვაცინოს მხოლოდ იმისთვის, რომ არ გვატიროს.

იმავ სიბნელეში ხედავთ ახალგაზდებსაც დაუნდობელ, მეფისტოფელურ ხარხარით, იქ ხედავთ... მაგრამ უკაცრავათ, ქართველო, შენ იქ არ იყურები, შენ სრულებით დაგვიწყნია ისინი, ვინც შენ დაგცინოდა, ვისაც შენ ცამდი არ აჰყავნდი, ვინც არ ივიწყებდა, რომ შენ წუმპოში ჩაფლულხარ, ვინც არ ივიწყებდა, რომ შენ ჯერ ბევრი, საშინლად ბევრი რამ გაკლია.

მაგრამ არც შენა ხარ ამაში დამნაშავე: „ჟამნი მეფობენო.“

გ. თ.

(გაგრძელება იქნება)

ნო, ბაღში ხარ-კამბეჩები დაკინალამ წაუხდინეს. Დაინახეს თუ არა ამ ბაღის პატრონებმა, წამოისხეს თავზედ რაღაცეები, რადგანაც საქონლის ჯოხის დაკვრას ცოდვათა რაცხვენ, და ამნაირად, თურმე, გამორეკეს საქონელი ბაღიდგან. შემოესივნენ მეორედ ბაღში აგრეთვე კამბეჩები, რომლების დაფთხობა იმ გვარათვე მოინდომეს, მაგრამ კამეჩებმა დაინახეს თუ არა, ეს რა არიო, ეცნენ ამ მსწავლულ მებაღეებს და იქამდინ, თურმე სრისეს, სინამ მე და თქვენ, მკითხველო, მივეშველებოდით.

ახლოელი

---

ქუთაისი, ოქტომბრის 7-ს.

ამ თვის 4-ს ქართული სცენის მოყვარეთა წრემ გამართა მეორე წარმოდგენა. Პირველი წარმოდგენა იყო 25-ს აგვისტოს. Წარმოადგინეს „ფიგაროს ქორწილი“ — კომედია ბომარშესი — ბევრად საინტერესო, რომელიც, მართალი რომა ვსთქვათ, ჩინებულად წავიდა.

მეორე წარმოდგენა კიდევ უკეთესი იყო. საზოგადოება, როგორც ეტყობოდა და ისმის, ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

Წარმოადგინეს დრამა გ. ერისთავისა „მაიკო“ და ერთ მოქმედებიანი კომედია, რუსულიდამ ნათარგმნი, სახელად „ახირებული უბედურობა“. Დრამა რაც კი შეიძლებოდა მის ნაკლულევანებებთან და ქუთაისელი სცენის უვარგისობასთან კარგად წავიდა. Ეს დრამა სამ მოქმედებიანია, მაგრამ დეკორაცია ოთხჯერ იცვლება და თვითოეული სურათი თავის დაბოლოებით ძრიელ ცოტა შთაბეჭდილებას სტოვებს პუბლიკაში. რაც შეეხება სცენას, საშინელი პატარაა და დეკორაცია ნაკლები. Ფარდაც არ არის რამდენიმე სავარგისი: რომ ჩამოუშვებენ, შუაზე გაჩერდება ხოლმე და მერე ხელებით უნდა სწიონ, რომ მთლად ჩამოუშვან. სცენაზე ხუთი კაცი რომ გამოვიდეს, მერე ალაგიც აღარ არის და ვერც ეს ხუთი კაცი გაინძრევა თავისუფლად.

მოთამაშეებმა საზოგადოთ ყველამ კარგად აასრულეს თავიანთი როლები, და განსაკუთრებით ა. მრევლოვის ქალმა, რომელიც მაიკოს როლს თამაშობდა; იმან მშვენივრად წარმოადგინა ის სცენები, სადაც მაიკო შეშლილი გამოდის მოტაცების შემდეგ. Გარდა ამისა კარგად ითამაშეს ვასილიევის ქალმა და უ. აბაშიძემ.

„ახირებული უბედურების“ წარმოდგენაც კარგად წავიდა. Კარგად ითამაშა ამ პიესაში უ. აბაშიძემ.

Ვისაც ჩვენი საზოგადოებისა და ხალხისათვის გული ეწვის, ვისაც ჰსურს, რომ ჩვენმა ხალხმა თვალი გამოახილოს, მიაქციოს ყურადღება საინტერესო კითხვებს და გრძნობებს, რომელნიც ყოველი პატიოსანი კაცის სულს უნდა აღელვებდნენ, იმას, დარწმუნებული ვარ, გაუხარდება ის გარემოება, რომ აქაურ სცენაზე წარმოდგენები კარგად მიდიან, და იმედია, რაც შეიძლება თანაგრძნობას გამოიჩენენ საქმეში.

Წარმოდგენით ბევრი კარგი გრძნობა და კარგი ჰაზრი შეიძლება კაცმა გაატაროს საზოგადოებაში. Თუ რომ სცენაზე კარგი პიესები იქნებიან წარმოდგენილნი და კარგად წარმოდგენილნი, მაშინ ამ გარემოებას დიდი მოქმედება ექნება საზოგადოების გონებითს და ზნეობითს მდგომარეობაზე. Ამ მხრით თეატრი რამოდენიმედ შკოლის მაგიერობას გაგვიწევს. Ამისთანა მნიშვნელობა ჰქონდა ყოველთვის თეატრს და აქვს კიდეც.

Თუ ჯერ-ჯერობით ქუთაისის სცენაზე წარმოდგენები კარგათ მიდიან და შემდეგშიაც კარგად იქნება საქმე, ეს მიტომ რომ როგორც საზოგადოება, ისე კერძო პირებიც თანამგრძნობელნი არიან თეატრის და ჰსურთ, რომ ამისთანა კარგ საქმეს საფუძველი მიეცეს.

Ჯერ სცენისთვის ტანისამოსები თითქმის სულ არა გვაქვს, მაგრამ, კერძო პირების შემწეობით, ყოველთვის ვშოულობთ. Ამ წარმოდგენაზე ერთი წყვილი ტანისამოსიც არ ყოფილა ნაქირავები. Გარდა ამისა უმეტესი ნაწილი სკამებისა კიდევ ნათხოვარი იყო.

Ამ მხრით მადლობის ღირსი არიან, როგორც ის კერძო პირები, რომელნიც ამ საქმეში ხელს გვიმართავენ, აგრეთვე უ. Ღევანდა, რომელიც შეძლების და გვარად თანაგრძნობას გვიცხადებს.

Ამ საქმისათვის საზოგადო თანაგრძნობა იმიტომ მოითხოვება, რომ სულ არა იყოს რა წარმოდგენები იმ მხრით მაინც დაგვეხმარებიან, რომ გვექნება ადგილი, სადაც თვეში ერთხელ მივალთ ხოლმე, ერთმანეთს დავინახავთ, ხმას გავსცემთ ერთმანეთს და გავერთობით, რადგანაც ამ ხასიათის ადგილები ჩვენს ქალაქში ძვირად იპოვებიან, და ნიადაგ ოთხ კედელში ჯდომა სულსა და გულს შეუწუხებს კაცს. Და თუ კი ყურადღებაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ წარმოდგენებს მიზნათ აქვთ აქ სცენის გამართვა, მაშინ უსათუოდ მონდობილნი უნდა ვიყვნეთ ამ საქმისათვის, რადგანაც მომავალში მეტი კმაყოფილება და სარგებლობა მოგველის.

Ნოდელი

---

# რუსეთი

Ⴔ მმართლმადიდებელი ეკკლესიების ასაშენებლად, მომავალ წელს, ხაზინას დაუნიშნავს — 700,000 მან., რომლიდამაც 450,000 დანიშნულია საკუთრივ რუსეთის ეკკლესიებისთვის, დანარჩენი 100,000 მან. პოლშის და 150,000 ფინლანდიისათვის. Ამას გარდა მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის ეკკლესიისათვის გადადებულია 490,938 მან. და პეტერბურღის Ისაკიევის სობოროს შესაკეთებლად — 154,920 მანეთი.

Ⴔ ს.-პეტერბურღის მეორე გიმნაზის შაგირდებს დაუწყიათ, შეძლებისა და გვარად, ფულების მოგროვება ჰერცოგოვინისა და ბოსნიის აჯანყებულებისათვის.

Ⴔ „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია პეტერბურღიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ გზების მინისტრს განკარგულება გამოუცია, რომ ყველა რკინის გზაზე ისეთი საქალებო ვაგონები უნდა იყოსო, რომლებშიაც თამბაქოს მოწევა აღკრძალული უნდა იქნესო.

Ⴔ ამავე გაზეთს შეუტყვია, რომ შინაგანი საქმეების სამინისტროსთან შემდგარა კამისია, რომელმანც ყოველი ღონის-ძიება უნდა იხმაროს პირუტყვების ჭირის გავრცელების მოსასპობელად. Ამ მიზნით, როგორც ამბობენ, ყოველ გუბერნიაში თითო ვეტერინარი (პირუტყვის აქიმი) და ფერშალი იქნება დანიშნული.

---

# უცხო ქვეყნები

ჰერცოგოვინის არეულობა. Ამ დღეებში მოსულმა დეპეშებმა ორი ისეთი ამბავი მოგვიტანა, რომელსაც, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება ჰერცოგოვინის საქმეზედ: Ერთი ტელეგრამმა სტამბოლიდამ არის და გვაცნობებს, რომ სერბიის ელჩმა ხელ-ახლად მოსთხოვა ოსმალოს მთავრობასო, რომ სერბიის სამზღვარზე ჯარებს ნუ აგზავნითო; მეორე ვენიდამ მოსული დეპეშა მდგომარეობს იმაში, რომ 1,200 თათრის ჯარი სერბიის სამზღვარზე გადავიდა, ორი სახლი დასწვესო, რამდენიმე კაცი დასჭრეს და მოკლეს და ბევრი საქონელი გარეკესო. სერბიის მთავრობამ ტელეგრაფით შეუთვალა თავის ელჩსო სტამბოლში, რომ ამ საგნის თაობაზე ოსმალოს მმართებლობისათვის დაკმაყოფილება ეთხოვნაო.

Ერთის სიტყვით, საქმე იმნაირად მიდის, რომ ადრე იქნება თუ გვიან, სერბია და იმასთან ჩერნოგორია უეჭველად იძულებული შეიქნებიან, რომ ოსმალოს ომი გამოუცხადონ. Ორივე ქვეყნის ხალხი მოუთმენელად მოელის ამ დროს და თუ ამდენი ხანი არ აუსრულდათ თავიანთი სურვილი — ეს მხოლოთ იმათი მთავრობისა და დიპლომაციის ბრალია. Იმ გვარი შემთხვევები, როგორც ზევით მოვიყვანეთ, ბოლოს მმართებლობასაც გამოიყვანს მოთმინებიდამ, და ამნაირად ჰერცოგოვინისა და ბოსნიის აჯანყებას მაშინ სრულიად სხვა ხასიათი და მიმართულება მიეცემა.

Ამ ოსმალოსაგან დამოკიდებულ სახელმწიფოებს ყველაზე უფრო იმის ეშინიანთ, რომ ოსმალოს ბევრი ჯარი ჰყავსო, ევროპა ჩვენ არ მოგვეხმარებაო და რომ დაგვამარცხონ, მაშინ იმ მცირედ თავისუფლებასაც დავკარგავთ, რომელიც ამდენის მსხვერპლისა და ბრძოლის შემდეგ შევიძინეთო.

Მაგრამ ბევრი მცოდნე კაცები ამტკიცებენ, რომ ეს შიში უსაფუძვლო შიშია. Თუმცა, მართალია, ოსმალოს ამ ჟამად 600,000 ჯარი ჰყავსო, ამბობენ, მაგრამ ყველა იმის პროვინციები ისეთს მდგომარეობაში არისო, რომ იქიდამ ჯარებს ვერ გამოიყვანსო და რომ გამოიყვანოს, იმწამსვე რამდენსამე ადაგას ერთს დროს ატყდება არეულობაო. Მაგალითად, ოსმალოს საქართველოში, ქურდისტანში და სხვაგან ჯარები ჰყავსო, მაგრამ ამ ქვეყნებში უიმისოთაც მუდამ არეულობა არისო და ჯარისაგან რომ დაცარიელდეს, იმწამსვე ხალხი აჯანყდებაო. Ასე რომ სერბიისა და ჩერნოგორიის წინააღმდეგ ოსმალოს ამჟამად 100,000 კაცის მეტი არ შეუძლია გამოიყვანოსო. Და ამისთანა ჯარს ყოველთვის დაამარცხებს იმ ხალხების მეომრები, რომელნიც თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარულით იქნებიან აღძრულნიო.

რაიცა შეეხება ბრძოლის ველიდამ ახალ ამბებს, Თფილისში მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ ამ თვის 7-ს ოსმალოს ჯარი (ბაშიბუზუკები) დასცემიან თავს აჯანყებულების ჯარს, რომლის სარდალი ზეკო ყოფილა, ექვსი საათის განმავალობაში გაცხარებული ბრძოლა ყოფილა, მაგრამ ბოლოს აჯანყებულებს უკუ უქცევიათ ოსმალოები. Თათრების მხრით 80 კაცი დახოცილა და განდგომილებისა — 20. Ზეკოს დაუხვრეტია 6 კაცი სომხთლისათვის.

Ინგლისურს გაზეთებში იწერებიან, რომ თუმცა აჯანყებულებს ახლაც კარგათა და მხნეთ მიჰყავთ საქმე, მაგრამ კიდევ უკეთ შეეძლოთ წაყვანა, იმათ სარდლებს შუა რომ მუდამ უთანხმოება და განხეთქილება არ ჰსუფევდესო. Ერთი კორრესპონდენტისთვის შეუჩივლია Ლიუბობრატოვიჩს, რომ ჩვენთვის ამ ჟამად დროებითი მმართებლობის ამორჩევა აუცილებელად საჭიროა, რომლის განკარგულებასაც ყველა სარდლები და საზოგადოთ აჯანყებულები ხმა-ამოუღებელად უნდა დაემორჩილონო.

Იგივე კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ ათი ახალგაზდა რუსი მისულა Ლიუბობრატოვიჩის ბანაკში აჯანყებულების დასახმარებელად. Ამათ გარდა ამავე ბანაკში 50 გარიბალდიელი და ბევრი უცხო ქვეყნელიაო.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. Ოსმალოს ელჩს შეუჩივლია Იტალიის მმართებლობისათვის, რომ თქვენი ქვეშევრდომები ეხმარებიან ჰერცოგოვინელ აჯანყებულებსაო და ჩემი მმართებლობის მობარებით ვითხოვო, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოთო. Იტალიის სამინისტროს თავს-მჯდომარეს ვისკონტი-ვენოსტის უპასუხებია ამაზე, რომ Იტალია ნეიტრალიტეტს არ არღვევსო.

ᲡᲔᲠᲑᲘᲐ. 17 (5) ღვინობისთვეს ბელგრადში ყოფილა ერთი დიდი ამბით ქორწილი სერბიის მთავრის მილანისა, რომელზედაც მთავარს დაულევია სადღეგრძელო რუსეთის Იმპერატორისა და ამ დროს, სხვათა შორის, უთქვამს, რომ „რუსეთის Იმპერატორი მუდამ მოწყალეს და მეგობრულის თვალით უყურებს ობრენოვიჩის დინასტიასაო.

**საფრანგეთი.** ყველა პარტიის ორატორები დაიარებიან ამ ჟამად საფრანგეთის დეპარტამენტებში და თავის პრინციპებს უქადაგებენ ხალხსა. მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებულს ალფრედ ნაკეს და საზოგადოთ ესრედ წოდებულ „შეურიგებელ“ რესპუბლიკელების ქადაგებაზე და სიტყვებზე ლაპარაკობენ. ამ პარტიამ აშკარად გამოაცხადა თავის უკმაყოფილება გამბეტტასა და იმის პოლიტიკაზე. ერთს თავის სიტყვაში ნაკემ სთქვა, რომ გამბეტტას დამთმობი, ზომიერი პოლიტიკა იქამდი მიგვიყვანსო, რომ საფრანგეთის ბედი მალე ორლეანისტებს ჩაუვარდება ხელშიო. ამ აზრების წინააღმდეგ გამბეტტამ ერთს დეპუტატს ტარდის მისწერა წიგნი, რომელშიაც აცხადებს, რომ ამ ჟამად ჩვენ მხოლოდ ზომიერებით უნდა ვიმოქმედოთო, მხოლოთ ამ გვარი, წინდახედული მოქმედებით შეგვიძლიან საფრანგეთში რესპუბლიკა დავამკვიდროთო და სხვ.

**შვეიცარია.** ოქტომბრის 15-ს ბერნის საკათოლიკო კონგრესს თითქმის ერთხმად გადაუწყვეტია, რომ სამღვდელო პირებს ცოლის შერთვის უფლება უნდა მიეცესო და ამას გარდა სიტყვითი აღსარების თქმა უნდა მოისპოსო.

# ქრონიკა

## ოსმალოს საქართველო
### 1323 წლიდამ ვიდრემ 1579 წლამდე
სტატია მესამე და უკანასკნელი

—

აი ამ სახით ძალდატანებით ოსმალებმა გაათათრეს სამცხეს ქართველები, დააქციეს ეკლესიები, მონასტრები, უკანასკნელად გამორეკეს დარჩენილნი მღვდლები და ეპისკოპოსები, ააშენეს მეჩითები, დაუყენეს ძალათ ქართველებს მოლები და დაიპყრეს მძლავრობით სამცხე, რომელსაც ახლა ოსმალეთის საქართველოს ვეძახით. 1663 წელს მთელი ოსმალეთის საქართველოს სრულიად გამაჰმადიანება დასრულებული იყო. ამისათვის 1674 წელს ოსმალეთმა სამცხეში მოახდინა რეფორმები. ეს ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი ოსმალეთის საქართველო ორ საფაშოდ გაყვეს. ერთი იჯდა ახალ-ციხეში, მეორე არტან-ჰოლას. მაგრამ მეორე ემორჩილებოდა პირველს და ლაშქრიანობის დროსაც იმის ხელ-ქვეითად ხდებოდა, რადგან პირველი ფაშა ჯაყელი იყო. მაგრამ როგორც ჯაყელების გვარი, აგრეთვე თავადებისა და აზნაურებისა ამ დროს შეჰცვალეს; იმათ უწოდეს: ფაშა, ბეგი, ალაი-ბეგი, ხანჯახი და აღა.

ასრე იყო ოსმალებისაგან ახლანდელი ოსმალეთის საქართველოს გათათრება, და დაიწყო ყოველ გვარი საზიზღარი მოქმედებაები. ვინც მდიდარი კაცი იყო, იმისი იყო ბურთი და მეიდანი. ოღონდ კი ფული ქონილიყო, თორემ ჩამომავლობას აღარ დაგიდევდნენ. ვისაც უნდოდა შოვნა ან მამულისა, ან რამე თანამდებობისა, ან ბეგობისა, ძალიან ადვილი იყო; ოღონდ კი ჯიბეში ფული გქონოდა ოსმალეთის ხონთქრისა და ვეზირებისათვის მისაცემად. ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებდა. ამ დროებაში მყოფ ქრთამების ძალისა შესახებ საქართველოში არის შემდგარი თათრულს ენაზე ქართველებისგანვე შემდეგი საზიზღარი ანდაზა: „ფული იყოს, თორემ ხონთქარს ქრთამს მივცემ და მოლას შიგ მეჩითში შევებილწავ“ ერთის სიტყვით, ვინც კი ერთ ორიოდე გროშს იშოვიდა, მაშინვე სტამბოლში მიარბენინებდა, რომ რამე თანამდებობა ეშოვნა და ხალხზე გავლენა ჰქონოდა. მაგალითებრ, 1680 წელს ზურიელმა რაღაცა დამნაშაობისათვის, თუ არ ვიცი, იმისათვის, რომ მღვდელში თათრები უფრო კარგ ფას მისცემდნენ, ერთი მღვდელი ოსმალეთში თათრებს მიჰყიდა. მღვდელმა მაშინვე თათრობა მიიღო, დაიწყო ვაჭრობა, იშოვა ფული, მისცა ის ქრთამად ოსმალეთის მმართველებს და მიიღო ფაშობა ჯავახეთისა. ამან და ამის შვილებმა დაიპყრეს ჯავახეთი და მე-XVIII საუკუნის დასასრულამდე აქ ფაშობდნენ.

ასრე რომ აირია-დაირია ოსმალეთის საქართველოში საქმეები: აღარ იცნობებოდა ვინ იყო ან თავადი, ან აზნაური და ან გლეხი, ყველანი შტაცებლობდნენ მიწებს და იჩემებდნენ; ამისაგამო სელიმ სულთანმა გამოაკვლია გვარეულობა და ვისაც რა მიწა-წყალი ეკუთვნოდა, ის დაუმტკიცა და უბრძანა რომ, როგორც ქართველ მეფეებისათვის გიმსახურნიათ, ისრე ჩვენ გვემსახურეთ გათათრებულმა ქართველებმაო.

მაგრამ ახლა ეს პირობა მოუშლია ახლანდელ მთავრობას, მოუთხოვენია სალდათი, და იმათაც უთქვამთ, რომ რადგან პირობები ოსმალეთმა მოშალა, ამისათვის ჩვენც არ გვინდა სამსახურიო; ჩვენ ქართველები ვართო და აღარ გვინდა, რომ ოსმალეთის ხელში ვიყვნეთო. ამაზე ამტყდარა შფოთი და კაცმა არ იცის რით გათავდება. იმათ უნდათ, რომ განთავისუფლდნენ ოსმალეთის ხელიდგან....

ინგილო ჯანაშვილი

# სავაჭრო

△ ინჟინერის სამაზრო გამგეობა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აღება სოფ. ქეიშხეთში ყაზარმის გადიდების თაობაზე. იჯარისთვის დანიშნულია —5,984 მან. და 39 კაპ.

ვაჭრობა იქნება ტფილისში, ინჟინერის სამმართველოში, ამ თვის 23 ს.

△ კავკასიის სამხედრო მაზრის რჩევის გადაწყვეტილებით, მომავალ ნოემბრის თვის 19-ს იქნება უკანასკნელი ვაჭრობა (დაბეჭდილი განცხადებებით) ტფილისის, სტავროპოლის და პეტროვსკის საინტენდანტო მაღაზიებიდამ და აგრეთვე ვლადიკავკაზიდამ ტფილისში და პეტროვსკში და ასტრახნიდამ სტავროპოლში და საზოგადოთ ერთი ალაგიდამ მეორეში გადატანაზე ინტენტანტის ნივთებისა და წამლებისა—1876 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1878 წლის 1 იანვრამდე.

გირაოთ, ფასის დაგვარად, წარდგენილი უნდა იქნეს 20% გადასატანი ნივთების ფასისა, შემდეგის ანგარიშით: ტფილისისათვის—4,912 მანეთის გირაო, სტავროპოლისათვის—7,480 მანეთისა, პეტროვსკისათვის—4,684 მან. და ასტრახნისა სტავროპოლში გადასატანი ნივთებისათვის—150 მანეთი.

△ კავკასიის სამხედრო მაზრის ინჟინერის გამგეობა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აშენება დეშლაგარში (დაღესტანში) პოლკისათვის ლაზარეთის აშენება, რომლისათვის 29,274 მანეთია დანიშნული.

ვაჭრობა იქნება ტფილისში, საინჟინერო სამმართველოში, 7 ნოემბერს ამ წლისას.

△ იგივე ინჟინერის გამგეობა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აშენება ბაქოში ბათალიონის ფლიგელთან ფეხისალაგის აშენება, რომლისთვისაც ხაზინისაგან 8,740 მანეთია დანიშნული.

ვაჭრობა იქნება ტფილისში, საინჟინერო გამგეობაში, ამ წლის 6 ნოემბერს.


# განცხადებანი

## ტფილისის სამკურნალო
(4 აპრილის სახსოვრად)

ერივნის მოედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი ტელიაჭუსი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: გრაბოვსკი—ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაჭუსი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ. და ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

## პეტერბურღიდამ ჩამოსული ბებია გარტენევ—ივანოვისა

ცხოვრობს კრუზენშტერნის ქუჩაზე, მუნთოევის სახლებში, სახელმწიფო ქონების გამგეობის პირ-და-პირ.

მნახველებს იღებს ყოველ დღე, დილაობით 9 საათიდამ 11-მდი. ღარიბებს უფულოთ აძლევს რჩევასა და შემწეობას.

## ისყიდება

ტფილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში, განოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

## საყმაწვილო ქონა

ირეულ-დაწყებითი მოთხრობებისა, ბუნების მეცნიერებიდამ

შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან

გამოცემული სტ. ზარაფოვისაგან

ფასი ხუთი შაური


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ორშაბ. დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—სამშაბათს, ღამით.
ოდესას—კვირას, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტფილისიდამ:
საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ. და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

### ბირჟა

პეტერბურგი, 9 ღვინობ.

| ერთი მანეთი ღირს: | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ლონდონში 32½ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 340½ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 232 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 229 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა, | 95 | — |
| ხერსონის ბანკის (5½) | 88 | 75 |
| მოსკოვის (5%) | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 193 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

### მაზანდა

ტფილისი, 14 ღვინობ.

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შოთრაგალის ფთ. | 1 | 5 |
| ქერი ფუთი | — | 60 |
| ბამბა ერივნისა, ფუთი | 5 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი | — | — |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ | 7 | 80 |
| —თარაქამისა ფთ. | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | 54 |
| სპირტი, ვედრო | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 8 | 15 |
| —ფხვნილი ფუთი | 6 | 80 |
| ყავა გრგვალი ფუთი | 18 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი | 5 | 88 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Октября 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.